კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ხელნაწერის უფლებით

მარიამ გალდავა

სახელმწიფოს როლი გლობალიზაციის ეპოქაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი - მაია კაპანაძე

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
თბილისი. 0141, საქართველო
2023

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მაია კაპანაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ოფიციალური რეცენზენტები:

1. **ვაჟა გურგენიძე** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.
2. **ქეთევან შოშიაშვილი** - ისტორიის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის 24 ივლისს 15:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია.
დისერტაციის სრული ტექსტის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პეტრე მამრაძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალურობა

გლობალიზაციის საკითხი განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდან გახდა პოპულარული. გლობალიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა, სწორედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების დემოკრატიული მოდერნიზაციის პროცესზე მოახდინა. აღნიშნული პროცესი კი ნაშრომში, საქართველოს მაგალითით გვაქვს განხილული.

თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელია სწრაფი და რადიკალური ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ტექნოლოგიური თუ ეკოლოგიური ცვლილებები. ჩვენს სამყაროში ვხვდებით მოვლენათა ისეთ გარდაქმნებს, რომლებიც თითოეულ ადამიანს გვეხება, სცდება სახელმწიფოთა საზღვრებსა და კონტინენტებს, იჭრებიან ადამიანთა მოღვაწეობის სფეროში და იძენენ მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას, სწორედ ამ პროცესებს, თანამედროვე ეპოქაში, აღვნიშნავთ ტერმინით „გლობალიზაცია“.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ხშირია დისკუსიები გლობალიზაციის შესახებ. დებატებმა მიაღწიეს ინტენსივობის იმ დონეს, რომ ფერხდება გლობალიზაციის, როგორც მოვლენის გააზრება და ზოგიერთი საკითხი საერთოდაც ბუნდოვანი ხდება. აქედან გამომდინარე, ნაშრომში სხვადასხვა ჭრილშია განმარტებული გლობალიზაციის არსი და განსხვავებული მნიშვნელობები, შესწავლილია მისი მრავალმხრივი ასპექტები, გაანალიზებულია გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები დასავლეთის ქვეყნების, ბირთვი სახელმწიფოებისა და პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე შედარებით.

სადისერტაციო კვლევის აქტუალურობას, აგრეთვე განაპირობებს გლობალიზაციის

KOF ინდექსის მაჩვენებლით გამოთვლა, რომელიც ემყარება სამ ძირითად საკითხს: ***სახელმწიფოს პოლიტიკას, ეკონომიკასა და ქვეყნის სოციალური მდგომარეობას.*** თუმცა, არანაკლებ მნიშნელოვანია კულტურა და გარემოსდაცვითი საკითხები, ინვესტიციები, შემოსავლები და ქვეყნის კომერციული დონე. სწორედ ციურიხის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გლობალიზაციის ინდექსის განმსაზღვრელი კვლევა გვაძლევს შესაძლებლობას, შევაფასოთ საქართველოს ადგილი მსოფლიო გლობალურ ასპარეზზე და მოვახდინოთ შედარებითი ანალიზი სხვა სახელმწიფეობთან მიმართებით.

გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ხსენებისას, გვერდს ვერ ავუვლით ევროკავშირზე და ნატოზე საუბარს, რომლისკენაც საქართველო დიდი ხანია ისწრაფვის. ისევე როგორც ევროპაში, მსოფლიო მასშტაბითაც, ევროკავშირი და ნატო მნიშნელოვანი ორგანიზაციები არიან, რომელიც მასში გაწევრიანებული სახელმწიფოების ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სიმტკიცის გარანტია.

საკითხის აქტუალურობას, ასევე განაპირობებს სი-არ-არ-სი საქართველოს მხარდაჭერით განხორციელებული კვლევა, რომელიც გვიჩვენებს საქართველოს მოსახლეობის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ცოდნისა და დამოკიდებულების კვლევის შედეგებს.[1] აღნიშნული კვლევის სამი ტალღის მონაცემებზე დაყრდნობით, განხილულია ის ტენდენციები და ცვლილებები, რომლებიც შეინიშნება ევროკავშირისა და ნატოს მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებასა და ცოდნაში.[2]

XXI საუკუნის უახლეს ისტორიაში, 2020 წლიდან ვებრძოდით გლობალურ პრობლემას, COVID-19-ის პანდემიას, რომელმაც გარდამტეხი გავლენა იქონია,

[1] ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში, ცვლილებები და ტენდენციები, 2009-2013 http://www.parliament.ge, (ბოლოს გადამოწმდა - 26.11.2022)
[2] ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში, ცვლილებები და ტენდენციები, 2009-2013 http://www.parliament.ge, (ბოლოს გადამოწმდა - 26.11.2022)

როგორც ადამიანების ყოველდღიურ ყოფაზე, ისე მსოფლიო ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე და მსოფლიოში მიმდინარე ნებისმიერ სფეროზე. თუ ადრე, გლობალიზაციის კონტექსტში მნიშნელოვანი იყო ინტერნეტის, ენერგეტიკის, იარაღით ვაჭრობის, საერთაშორისო ტერორიზმისა და სხვა მოვლენათა განხილვა, დღეს მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემად უკვე COVID-19-ის გავრცელება იქცა, რომელსაც გვერდი ვერ ავუარეთ და განვიხილეთ თემის შესაძლებლობის ფარგლებში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

ჩვენი **კვლევის მიზნია** სახელმწიფოს როლის განსაზღვრა გლობალიზაციის პროცესში, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის **ამოცანებია:**

- ✓ გლობალიზაციის იდეოლოგიურ საფუძველთა ანალიზი;
- ✓ სახელმწიფოს როლის დადგენა გლობალიზაციისა და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში;
- ✓ რეგიონიზაციის როლის მნიშვნელობის გაანალიზება გლობალიზაციის ეპოქაში;
- ✓ გლობალიზაციის იმ ფაქტორთა იდენტიფიცირება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საქართველოს სახელმწიფოზე.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები

1. როგორია გლობალიზაციის იდეოლოგიური საფუძვლები?
2. როგორია სახელმწიფოს როლი გლობალიზაციისა და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში?
3. რა როლი აქვს რეგიონიზაციას გლობალიზაციის ეპოქაში?
4. როგორ აისახა გლობალიზაციის ეფექტი საქართველოს სახელმწიფოზე?

ჰიპოთეზა

გლობალიზაციის შედეგად მიმდინარე პროცესმა, გარკვეულწილად იმოქმედა სახელმწიფოს როლზე. გავლენა იქონია და შეცვალა მისი, როგორც საშინაო, ისე საგარეო ფუნქცია. ამასთან ერთად, ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში, გლობალიზაციის გავლენის სიძლიერე გამოიხატება იმით, განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფება სახელმწიფო. გლობალიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება რეგიონიზაციის პროცესების გააქტიურებაა. ბუნებრივია, საქართველო ვერ იქნება განხილული, როგორც სამყაროს განყენებული სივრცე და შესაბამისად, ის პროცესები, რაც დანარჩენ მსოფლიოში მიმდინარეობს, აისახება საქართველოს სახელმწიფოზეც.

კვლევის მეთოდები

სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის კვლევის ასპექტში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ✓ კვლევის მიზნების განსახორციელებლად ავირჩიეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ ჩაღრმავებული ინტერვიუ. რესპოდენტებად შევარჩიეთ ექპერტები;
- ✓ გლობალიზაციის KOF ინდექსის მაჩვენებლის შედარებითი ანალიზი საქართველოს მაგალითზე, რომელმაც საშუალება მოგვცა გაგვეზომა გლობალიზაციის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განზომილებები და გვეპოვა საქართველოს ადგილი გლობალურ სამყაროში;
- ✓ Case Study-ის მეთოდი - დაგვეხმარა ფაქტების უკეთ შესწავლისა და ანალიზის პროცესში.
- ✓ ასევე, გამოვიყენეთ მონაცემთა ლოგიკური ანალიზი და შედარება, რომლის მეშვეობით გამოვავლინეთ ფაქტებსა და მოვლენებს შორის მსგავსება და განსხვავება;

- ✓ კონტენტ ანალიზი - მისი მეშვეობით შევისწავლეთ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტი და მოვახდინეთ მათი სიღრმისეული შესწავლა;
- ✓ დედუქციური ახსნის მოდელი - შესაძლებლობა მოგვცა მიგვეღო ლოგიკური დასკვნები, რომელიც გამომდინარეობს არსებული ფაქტებისა და მოსაზრებებისგან.

ნაშრომის მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო

- **გლობალიზაციის თეორია** - აღნიშნულმა თეორიამ ჩამოაყალიბა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გლობალიზაცია. სწორედ ამ სამ ძირითად ასპექტა გაზომვის მეშვეობით შემუშავდა გლობალიზაციის ინდექსი (KOF), რომლის მეშვეობით შევძელით ქვეყნის განვითარების დონის განსაზღვრა;
- **რეგიონული თეორია** - თეორიის თანახმად, რეგიონები ორმაგ ურთიერთობაში არიან სახელმწიფოებთან, რადგან გარკვეულწილად მხარს უჭერენ მათ შემქმნელ სახელმწიფოებს;
- გამოვიყენეთ **მოდერნიზაციის თეორია,** რომელიც დაგვეხმარა გაგვეანალიზებინა რამ შეცვალა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური პროცესები, რაც წინამოდერნისტულ მსოფლიოს ახასიათებდა.
- იმანუელ ვალერსტაინის **მსოფლიო სისტემის თეორიის** მიხედვით, მოვახდინეთ ანალიზი, რომ მსოფლიო უთანასწორობას ინდუსტრიული, განვითარებული ქვეყნების მიერ, დანარჩენ ქვეყანათა რესურსების საკუთარ მიზნებში ექსპლუატაცია განაპირობებს.[3] ეს თეორია, სახელმწიფოების უთანასწორობის მიზეზად თანამედროვე მსოფლიოში

[3] Watkins K., Kraay A. and Dollar Making Globalization Work for the Poor. Finance and Development, 2002, N1, pp.32-381

ბირთვ ქვეყნებს ადანაშაულებს, რადგან ისინი აფერხებენ დანარჩენ ქვეყანათა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, ამის გამო ინდუსტრიული ქვეყნები სულ უფრო მდიდრდებიან, ხოლო ყოფილი კოლონიები ღატაკდებიან.[4]

- ყურადღება გამახვილებულია ფრენსის ფუკუიამას კონცეფციაზე „**ისტორიის დასასრულის**“ შესახებ. აღნიშნული თეორიის მიხედვით, იდეოლოგიური კონფლიქტების აღმოფხვრა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ლიბერალიზმის მსოფლიო მასშტაბით გავრცელება, მსოფლიოში კონფლიქტების გაუჩინარების საწინდარად იქნა მიჩნეული.
- ნაშრომში გაანალიზებულია **ლიბერალური თეორია,** რომელიც იყოფა რამდენიმე მიმდინარეობად, მათ შორისაა **დემოკრატიული მშვიდობის თეორია** და იმანუელ კანტის ანალიზიდან მომდინარეობს.[5] **დემოკრატიული მშვიდობის თეორია** მნიშვნელოვანი ფაქტორია გლობალიზაციის ეპოქაში, რადგანაც მშვიდობა ყოველთვის იყო და იქნება კაცობრიობის მთავარი საზრუნავი. დემოკრატიული მშვიდობის თეორიას ხსნის ბრიუს რასეტიც. ნაშრომში „დემოკრატიული მშვიდობის გაგება“[6] ამტკიცებს, რომ გლობალიზაციის ეპოქაში, დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკური წყობა, საშუალებას იძლევა დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის არსებული კონფლიქტები გადაწყდეს დიპლომატიურად, საერთაშორისო ნორმების დაცვითა და გათვალისწინებით, შესაბამისად მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ომის ალბათობა.

---

[4] ვეინერი მ., „გლობალური მიგრაციული კრიზისი“, თბილისი, 2007, გვ.111-113

[5] კანტი ი., დოილი მ., “ლიბერალური მემკვიდრეობა და საგარეო ურთიერთობები, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, ქრესტომათია, სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, თბილისი, 2004, გვ.398.

[6] Russett B., Grasping the Democratic Peace: Principles for a Post-Cold War World, Princeton: Princeton University Press, 1993.

- 1950-იანი წლების ბოლოს რაულ პრებიშის იდეების საფუძველზე განვითარდა **დამოკიდებულების თეორია,** რომლის მიხედვით ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური პრობლემები, განვითარებული ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური საქმიანობის შედეგია. შესაბამისად, **დამოკიდებულების თეორიის** მეშვეობით მოვახდინეთ შედარებითი ანალიზი მდიდარი და ღარიბი ქვეყნების მაგალითზე.
- 1977 წელს, რობერტ კიოჰანმა და ჯოზეფ ნაიმ ჩამოაყალიბეს **კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია,** რომლის მიხედვით, II მსოფლიო ომის შემდეგ გართულა საერთაშორისო ურთიერთობები, რადგან II მსოფლიო ომამდე ურთიერთობები სახელმწიფო ლიდერებს შორის მიმდინარეობდა, ხოლო სახელმწიფოთა მმართველები დაპირისპირებებს ძალისმიერი მეთოდებით აგვარებდნენ. გლობალიზაციის ხანაში მოხდა ცვლილებები ორ მიზეზთა გამო:
- პირველი - საერთაშორისო ურთიერთობები არა სახელმწიფოთა ლიდერებსა თუ მმართველებს შორის მიმდინარეობს, არამედ ქვეყანაში არსებულ მრავალდონიან საერთაშორისო ორგანიზაციათა და რეგიონულ ორგანიზაციათა გავლით.
- მეორე - ურთიერთობები გახშირდა სახელმწიფოს ჩაურევლად, ადამიანებსა და ჯგუფებს შორის.

კომპლექსურმა ურთიერთდამოკიდებულების თეორიამ დაგვანახა, რომ თანდათან ძლიერდება კორპორაციების, რეგიონული ორგანიზაციებისა და გაერთიანებების როლი, რადგან ისინი პატარა ქვეყნების ასპარეზის პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ და ამასთანავე, ზედამხედველობენ საერთაშორისო საკითხებს.[7]

[7] „კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, http://www.nplg.gov.ge, (ბოლოს გადამოწმდა -29.01.2023)

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანს წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესი და მისი თავისებურებები. სადოქტორო ნაშრომის **კვლევის ობიექტია** სახელმწიფოს როლის განსაზღვრა გლობალიზაციის ეპოქაში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, სამეცნიერო თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების, გლობალიზაციისა და ამ პროცესში სახელმწიფოს როლის ახალი ხედვით გაანალიზებაში მდგომარეობს. სიღრმისეულად და ახლებურად არის შესწავლილი სახელმწიფოს როლი გლობალიზაციის პროცესში და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების ფონზე. ასევე, გაანალიზებულია რეგიონიზაციის ფენომენი, რომელიც გლობალიზაციის თანმდევი პროცესია.

ნაშრომში აღწერილია გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი გავლენა, როგორც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ისე საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებაზე.

გლობალიზაციასთან დაკავშრებით უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, თეორია და სტატია არსებობს, თუმცა ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება სოციოლოგის, ISEC-ის დირექტორის **პიტერ ლ. ბერგერისა** და პოლიტოლოგის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის **სამუელ პ. ჰანთიგტონის** მიერ შემუშავებულმა სქემებმა მიიქცია, რომელიც ერთობლივად განახორციელეს ეკონომიკურმა კულტურის შემსწავლელმა ინსტიტუტმა და ბოსტონის უნივერსიტეტმა. მათ მსოფლიოს ათობით ქვეყანაში, კულტურული გლობალიზაციის დინამიკაზე განახორციელეს დაკვირვება.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს, ჩვენ მიერ აღნიშნული სქემების კვლევა განაპირობებს. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიყო ოთხი მიმართულება, რომლის საშუალებითაც გლობალური კულტურა ვრცელდება:

1. საერთაშორისო ბიზნეს-კულტურა, იგივე დავოსური კულტურა - (ს. ჰანტინგტონმა გლობალურ კულტურას, რომელსაც ფართოდ გავრცელების შესაძლებლობა აქვს დავოსური კულტურა უწოდა).

2. მასობრივი სამომხმარებლო კულტურა, მაკ-მსოფლიო კულტურა;

3. ინტელექტუალთა საერთაშორისო საკლუბო კულტურა;

4. ახალი რელიგიური მოძრაობები.

საკითხის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

დისერტაციის კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოიყენოს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესით დაინტერესებულმა ნებისმიერმა პირმა, დარგის სპეციალობის მკვლევრებმა. ნაშრომი საინტერესო იქნება სამივე საფეხურის - ბაკალავრიატის,მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

დროთა განმავლობაში გლობალიზაციის საკითხის მიმართ აქტუალურობა და მეცნიერულ კვლევათა ინტერესი იზრდება. შესაბამისად, გლობალიზაციის საკითხის კვლევის პროცესში, შესწავლილია უცხოური და ქართული შრომები, პირველადი და მეორეული წყაროები, რომლებიც ოთხ ძირითად ჯგუფად არის დაყოფილი, კერძოდ:

წყაროთა პირველ ჯგუფში ერთიანდება სამეცნიერო ნაშრომები პოლიტიკის

მეცნიერებაში, სოციალურ მეცნიერებაში, საერთაშორისო ურთიერთობებში და სხვ. გამოყენებულია გლობალიზაციის თემატიკაზე არსებული სამეცნიერო ნაშრომები. განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული იმ შრომებზე, სადაც გლობალიზაციის საკითხთა კვლევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მათ შორისაა, ის უცხოელი მეცნიერები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გლობალიზაციის შესწავლის საქმეში. ესენია: **ს. ჰანტინგტონის, ე. ჰეივუდის, ფ. ფუკუიამას, უ.ბეკის, ე. გიდენსის, ე. გელნერის, ო. კანტის, ე. ჩემპილი, მ. ვებერის, ზ. ბჟეზინსკისა** და სხვა მეცნიერთა შრომები.

ნაშრომში გამოყენებული და შესწავლილია შემდეგი წყაროები:

- ***ჯოზეფ სტიგლიცი: „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“,*** სადაც გაანალიზებულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების – მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ წლების განმავლობაში გატარებული პოლიტიკა, დაშვებული შეცდომები და მიღებული შედეგები, ასევე რა პრობლემებთან და გამოწვევებთან არის დაკავშირებული ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი განვითარებად სახელმწიფოებში.
- მნიშვნელოვანია გერმანელი სოციოლოგის ***ულრიხ ბეკის*** როლი გლობალიზაციის არსისა და მისი გამოწვევების კვლევაში. მის ნაშრომში ***„რა არის გლობალიზაცია?“*** ავტორი საუბრობს გლობალიზაციის გარდაუვალობაზე. ამავე დროს ცდილობს იპოვოს მასში ქვეყნის უნიკალურობის შენარჩუნების რესურსი, რაც მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხია ჩვენთვის. ავტორი დღევანდელი საქართველოს პრობლემებსაც განიხილავს, რადგან გლობალიზაცია საქართველოსაც ეხება.
- ***ენდრიუ ჰეივუდის „პოლიტიკური იდეოლოგიები“,*** დაგვეხმარა უკეთ შეგვესწავლა გლობალიზაციისა და სახელმწიფოს ურთიერთდაკავშირებულობის ქსელი, რომლის მეშვეობითაც ცხოვრებას

განსაზღვრავს შორს მიღებული გადაწყვეტილებები ან მომხდარი მოვლენები; ის ასევე ასახავს ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორიცაა გლობალიზაცია, როგორც სახელმწიფოთა მზარდი კავშირი.

- ***ერნესტ-ოტო ჩემპილი „მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში“*** - ავტორი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიო რეგიონალურად ორგანიზებული, ეკონომიკურად ორიენტირებული და დემოკრატიულად მოტივირებული გახდა. ის დაინტერესებულია საზოგადოებათა სამყაროს თემებით, განვითარებით, თავისუფლებით, მშვიდობით, და არა ძალის გაფართოებით და გამარჯვებულის დიდებით, რითაც შეპყრობილი იყო სახელმწიფოთა სამყაროს აზროვნება. აღნიშნულმა წყარომ მოგვცა შესაძლებლობა შეგვესწავლა ევროპული, რეგიონალურ საზოგადოებათა და ეკონომიკის სამყაროთა საკითხები.
- ***ჯოზეფ ნაისა და ჯონ დონაჰიუს „მმართველობა მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში“*** - ნაშრომი ეხება გლობალიზაციის რეალურ ცვლილებებს, რომლებიც ღრმა გავლენას ახდენენენ მსოლფიოს კულტურაზე, ეკონომიკაზე, უსაფრთხოებაზე, გარემოზე და, შესაბამისად, სახელმწიფოს მმართველობის ფუნდამენტურ გამოწვევებზე.

წყაროთა **მეორე ჯგუფს** შეადგენს ამ სფეროში ქართველ ავტორთა - ზ. დავითაშვილის, ე. ეთერია, ვ.მელიქიძე, ზ. აბაშიძე, გ. აბესაძე, ა. აბრალავა, ე. აკობია, რ. ასათიანი, ნ. ბარათაშვილი, კ. (იაშა) კუტუბიძე, ს. სიგუა, ვ. მეტრეველი, დ.ლობჟანიძე, გ.ლობჟანიძე, ე. ლეკაშვილი, რ.გველესიანი, გ. ყუფარაძე, ნ. მაისურაძე, დ. ბოგიშვილი, ი. ოსეფაშვილი, ე. გავაშელიშვილი, ნ. გუგუშვილი, და სხვათა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები.

უცხოელ მეცნიერებთან ერთად, კვლევის პროცესში, ჩვენ ასევე, გავაანალიზეთ და შევისწავლეთ:

- ***ზურაბ დავითაშვილის „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“,*** სადაც მოცემულია ის ძირითადი საკითხები და თეორიები, რომლებიც ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის არსის, თავისებურებებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ არის შემუშავებული. წიგნში განხილული საკითხები დაყოფილია თორმეტ თავად. ეს თავებია: ძირითადი ცნებები: ერი, სახელმწიფო; ნაციონალიზმის არსი და ტიპოლოგია; ნაციონალიზმის თეორიები; ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები; გლობალიზაცია - დეფინიცია და არსი; გლობალიზაცია და სახელმწიფო; ეკონომიკური გლობალიზაცია; გლობალიზაცია, საერთაშორისო სისტემა და მსოფლიო წესრიგი; ნაციონალიზმი გლობალიზაციის ეპოქაში; ნაციონალიზმი და გლობალიზაცია: მომავლის პერსპექტივები და ნაციონალიზმი და ეთნოკონფლიქტები თანამედროვე საქართველოში.
- ***ვალერი მელიქიძის „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“,*** სადაც წარმოდგენილია შემდეგი თემები: გლობალიზაციისა და მსოფლიო პოლიტიკის თეორიები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, ეკონომიკური განვითარება და მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, ზოგიერთი გლობალური პრობლემა, როგორიცაა დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემები, ტექნოლოგიები და კულტურა მსოფლიო ურთიერთობებში.
- ***კოკა (იაშა) კუტუბიძის „სახელმწიფო სუვერენიტეტი და გლობალური ინტერესები“,*** ნაშრომში ავტორმა გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი ტენდენციების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გვიჩვენა, რომ თანამედროვე მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისგან იზოლირებულად არსებობა. გლობალიზაცია ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის და ეს პროცესი შეუქცევადია.

- *ემირ ეთერია „გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა“,* ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის ეკონომიკურ–პოლიტიკური კონცეფციები, განზომილებები, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაციის ძირითადი მახასიათებლები, მისი განვითარების მიმართულებები და გლობალური მართვის პერსპექტივები, გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის ურთიერთმიმართების საკითხები და ა.შ.

  ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესზე და სახელმწიფოს ფუნქციონირების თავისებურებებზე გლობალიზაციის ზეგავლენის ანალიზს.

მესამე ჯგუფში ერთიანდება, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები - ინერნეტრესურსები - წამყვანი სამეცნიერო-ანალიტიკური პორტალები და პერიოდული გამოცემების ინტერნეტვერსიები.

გამოყენებულ წყაროთა ბაზას შეადგენს აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის, ნატოს, ევროკავშირის, გაეროს, ეუთოს, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტები.

მეოთხე ჯგუფი - გარდა ამისა, დისერტაციაში, გამოყენებულია თანამედროვე გლობალიზაციის საკითხების ანალიზისათვის, გლობალიზაციის KOF ინდექსის ბაზა, საქართველოსა და სხვა ქვეყნების მაგალითზე. აღნიშნული ბაზა შექმნილია ციურიხის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიერ, რომელიც ევროპის ავტორიტეტულ უნივერსიტეტთა ხუთეულშია შესული. ჩატარებულია შედარებითი ანალიზი, გამოვლენილია გლობალიზაციის საკითხი და მისი თანმდევი პრობლემები, მათ მიერ მომზადებულმა ნაშრომებმა მოგვცა შესაძლებლობა მოგვეპოვებინა სანდო წყაროები და გაგვეკეთებინა ზუსტი და არგუმენტირებული თეორიული დასკვნები.

დისერტაციის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, ექსპერტების კვლევისა და დასკვნისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

დისერტაციის შესავალში გადმოცემულია თემის აქტუალურობა და საკვლევი პრობლემა, თემის მიზნები და ამოცანები, საკვლევი კითხვები, თემის ჰიპოთეზა, კვლევის საგანი და ობიექტი, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის თეორიული საფუძვლები, კვლევის მეთოდები, ნაშრომის სამეცნიერო სიახლე, თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

I თავი. გლობალიზაციის ისტორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები (ქვეთავები: I. I გლობალიზაცია და მისი იდეოლოგიური არსი; I. II სახელმწიფოს განვითარების ისტორიული ეტაპები და მისი როლი გლობალიზაციის ეპოქაში; I. III გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი)

განმარტებულია ტერმინი "გლობალიზაცია", რომელიც მრავალი კუთხითაა წარმოჩენილი სხვადასხვა წლებში, არაერთი მეცნიერისა და მოაზროვნის მიერ. საუბარია გლობალიზაციის შედეგად მიღებულ დადებით და უარყოფით მოვლენებზე, ტექნოლოგიურ მიღწევებსა და მრავალი სფეროს გაუმჯობესებულ ფორმირებებზე. ასევე, იმ ნეგატიურ მხარეებზე, როგორებიცაა ტერორიზმი, ნარკომაფია და სხვ. შესაძლებლობის ფარგლებშია განხილული ახალი გლობალური გამოწვევა, რომელიც კოვიდ19-ის სახელით არის ცნობილი. თემის მრავალწახნაგურობიდან გამიმდინარე, ვეცადეთ არ ვაცდენილიყავით პრობლემის მთავარ არსს და ვეცადეთ დაგვეფიქსირებინა ყველა ასპექტი, რომელიც ამ მოვლენების შედეგად მიიღო კაცობრიობამ. ნაშრომში ამ მიმართულებით

გამოყოფილია მკვლევართა სამი კატეგორიაა: *ჰიპერგლობალისტები, ტრანსფორმაციონისტები და სკეპტიკოსები.* განმარტებული და გაანალიზებულია თითოეული მათგანი. საუბარია გლობალიზაციის პოლიტურ ასპექტებზე, რომელიც შედარებულია ლიბერალური მშვიდობის თეორიასა და დემოკრატიის მშვიდობის თეორიას შორის, გამოტანილია შესაბამისი დასკვნები და ანალიზი.

განხილულია სახელმწიფოს განვითარების ისტორიული ეტაპები, „ვესტფალიის სისტემა", სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების საწყისები და საერთაშორისო ურთიერთობები, ტრანსნაციონალური კორპორაციები და საზოგადოება, რომელიც სამ კატეგორიად არის დაყოფილი - გლობალისტები, ანტიგლობალისტები, ნეიტრალები, სადაც შედარებული და გაანალიზებულია თითოეული მათგანი. ნაშრომში საუბარია გლობალიზაციის შედაგად გამოწვეულ იმ ძირითად ცვლილებებზე, რომელიც შეეხო სახელმწიფოს თვითმყოფადობას. გაანალიზებულია, ფრიდმანის მიერ შემუშავებული ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური გლობალიზაციის მოდელები. ხაზგასმულია საკითხები, რომელებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოს განვითარების კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება, ამ მხრივ, გამახვილებულია პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე.

დისერტაციაში განმარტებულია მსოფლიო წესრიგი იმ სახით, რა სახითაც დამყარდა გლობალიზაციის პირობებში. ხაზგასმულია დიდი და პატარა სახემწიოების როლი, განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების ადგილი მსოფლიოში, რაც გლობალიზაციის პროცესმა გამოიწვია.

II თავი. სახელმწიფოს როლი ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში (ქვეთავები: II.I სახელმწიფოს როლი ცივი ომის პერიდოში II. II სახელმწიფოს როლი პოსტბიპოლარულ სამყაროში; II. III სუვერენიტეტის ტრანსფორმირებული ცნება)

მეორე თავში გაანალიზებულია სახელმწიფოს როლი ცივი ომის პერიოდში.

მსჯელობას ვიწყებთ „სახელმწიფოს“ მრავალმხრივი განმარტებებითა და ცივი ომის მნიშნელობით, ასევე მოვლენებით, რომელიც იმ პერიოდში აღმოცენდა, როგორც სახელმწიფოს ფორმირებისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი მოვლენა. აქვე, მოყვანილი და განმარტებულია სხვადასხვა თეორიები.

საუბარია ბიპოლარული სამყაროს მსხვრევაზე და სახელმწიფოს როლზე ახალ მსოფლიო წესრიგში. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მოყვანილია ცნობილ მეცნიერთა მრავალფეროვანი თვალსაზრისები. ამ თავში, ადგილი დავუთმეთ უნივერსალურ სისტემასა და საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ ხედვებზე საუბარს, რომელიც ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში მოქმედებს. განმარტებული და შედარებულია შეთქმულების თეორიის ასპექტები ტექსტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. საუბარია გლობალიზაციის პროცესის ინტენსიფიკაციის პირობებში, სახელმწიფოს როლსა და გლობალიზაციის ეპოქაში, ქვეყნებს შორის უთანასწორობის სიმკვეთრეზე.

გვერდი ვერ ავუარეთ სუვერენიტეტის ახლებურ ხედვებზე მსჯელობას, ამიტომ ვეცადეთ განგვემარტა ტერმინის ცნება. გამოვყავით სუვერენიტეტის სამი ტიპი: სახელმწიფო, ეროვნული და სახალხო. სხვადასხვა სახელმწიფოთა მაგალითზე გავაკეთეთ შედარება და ანალიზი, შეცვალა თუ არა გლობალიზაციამ სახელმწიფოთა სუვერენიტეტი კერძოდ, გააძლიერა თუ დაასუსტა იგი.

III თავი. რეგიონალიზაციის ცნება, როგორც გლობალიზაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელი (ქვეთავები: III.I რეგიონული გაერთიანებების როლი გლობალიზაციის პროცესში; III.II გლობალიზაცია და საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო; III.III ნატო და ევროკავშირი - რეგიონული ორგანიზაციები და საქართველოს ევროინტეგრაციული მისწრაფება)

აღნიშნულ თავში საუბარია რეგიონულ გაერთიანებებზე, რომლებიც მნიშნელოვან როლს თამაშობენ გლობალიზაციის პროცესში, კერძოდ: **აფრიკის კავშირი (AU),**

სამხრეთ – აღმოსავლეთ აზიის ერთა ასოციაცია (ASEAN), არაბული სახელმწიფოების ლიგა (ACL), კარიბის ზღვის საზოგადოება და საერთო ბაზარი(CARICOM), ევროპის საბჭო (CoE), ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (EEU), ევროკავშირი (EU), სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაცია (SAARC), აზიურ-აფრიკული იურიდიული საკონსულტაციო ორგანიზაცია (AALCO) და სხვა. განმარტებული და დახასიათებულია თითოეული მათგანის სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი არსებობა გლობალურ სამყაროში.

ასევე, *განხილულია გლობალიზაცია და საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო. საუბარია საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც ქვეყნა დადგა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.* გლობალიზაციის პოპულარიზაციამ საჭირო გახადა ახალი მექანიზმის გლობალური სამყაროს გასაზომი გლობალური ინდექსების (KOF) შემუშავების აუცილებლობა, ამ ინდექსის მეშვეობით, რომელიც ეყრდნობა ციურიხის ინსტიტუტის კვლევებს, გამოვლენილია საქართველოს ადგილი გლობალურ სამყაროში, რომელიც ნაჩვენებია დიაგრამაზე. KOF ინდექსის მეშვეობით, განმარტებული და გაანალიზებულია ის კატეგეგორიები და სფეროები, რომლებიც მნიშნელოვან ადგილს იკავებენ ინდექსის შემუშავებისა და გამოვლენისას.

გარკვეული ადგილი დავუთმეთ ნატოსა და ევროკავშირზე, როგორც რეგიონულ ორგანიზაციებზე საუბარს და გლობალურ სამყაროში საქართველოს ევროინტეგრაციულ მისწრაფებას. ამავე ქვეთავში, განმარტებულია ნატოსა და ევროკავშირის მიზნები, ამოცანები, სტრუქტურა, მათი როლი თანამედროვე სამყაროში. ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოსთან მიმართებით. მათ მიერ განხორციელებული საერთო პროექტები და ის ქმედითი ნაბიჯები, რომლებიც გადადგმულია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვისა და

წინსვლისათვის. გამოყენებულია არაერთი კვლევა, რომელიც აზუსტებს და ასახავს საქართველოს მოსახლეობის აზრსა და დამოკიდებულებას ევროკავშირისა და ნატოს მიმართ. აქედან გამომდინარე, გაკეთებულია შესაბამისი ანალიზი და დასკვნები.

დასკვნა

დასკვნაში ნაჩვენებია კვლევის ძირითადი შედეგები, პასუხები საკვლევ კითხვებზე და ჰიპოთეზის დადასტურება.

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი იყო შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა გლობალიზაცია, როგორც მოვლენა. კვლევის პერიოდში ხშირად გადავაწყდით აზრთა სხვადასხვაობას, რაც ნაწილობრივ უამრავ იმედგაცრუებასა და უკმაყოფილებას ასახავს. გლობალიზაციასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მტკიცე არგუმენტი, უარყოფით კონტექსტში არის ის, რომ იგი განიხილება როგორც ეკონომიკური მონსტრი, რომლის მიზანია ეროვნულობისა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის შესუსტება, განსაკუთრებით კი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტების სახეცვლილება. გლობალიზაციის შედეგად, სახელმწიფო აღიქმება, როგორც ამ პროცესის პარტნიორი, რომელსაც არ აქვს ძალაუფლება ან მანდატი, გააკონტროლოს ან ჰქონდეს დემოკრატიული ხმა საკუთარი პრინციპებისა და პოლიტიკის მიმართ.

ამის საპირისპიროდ, მეცნიერთა და დარგის ექსპერტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ გლობალიზაციის შედეგად მიღწეული რეგიონიზაციის პროცესის, ეროვნული სახელმწიფო ბაზრების ლიბერალიზაციისა და სწრაფი გაფართოების, ასევე ვაჭრობის ჰარმონიზაციის გზით, სახელმწიფოები მნიშვნელოვნად განვითარდნენ ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური და პოლიტიკური კუთხით. ამ სახელმწიფოებს შორის კი ერთ-ერთი სწორედ საქართველოა.

გლობალიზაციის KOF ინდექსის გამოთვლის მეშვეობით, მოვახდინეთ და შევაფასეთ საქართველოს მსოფლიო სივრცეში ინტეგრირების ხარისხი. ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ გვიჩვენა, რომ

გლობალიზაციამ დიდი გავლენა იქონია საქართველოზე, მისი მეშვეობით განვითარების, პროგრესისა და მიღწევების შესაძლებლობები დაჩქარდა. დღესდღეობით, ჩვენი სახელმწიფო აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო კუთხით. თანამშრომლობენ, როგორც არასამთავრობო, ისე საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციებთან, ცდილობენ მსოფლიო ასპარეზზე თავის დამკვიდრებას პროექტებით, კონფერენციებითა და სხვადასხვა სახის აქტივობებით.

ჩვენი კვლევის შედეგები ამტკიცებს ჩვენს ჰიპოთეზას და დასტურდება, რომ გლობალიზაცია და სახელმწიფო ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან. გლობალიზაცია გავლენას ახდენს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციაზე. გავლენის სიძლიერე კი გამოიხატა იმით, განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფება სახელმწიფო. უმეტესწილად, სახელმწიფოები უძლურები არიან აკონტროლონ გლობალიზაციის პროცესები, შეამცირონ ან შეზღუდონ მისი მოქმედების არეალი.

ამასთანავე, გააქტიურდა რეგიონიზაციის საკითხი. ნებისმიერი რეგიონული პროცესი, გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილია. სწორედ, რეგიონიზაციის პროცესის შედეგად იქმნება დიდი, გლობალური ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო გაერთიანებები, რომლებშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები არიან გაწევრიანებული.

ჩვენ მიერ ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად, ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები:

- გლობალიზაცია და სახელმწიფო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან, რადგან გლობალიზაცია გავლენას ახდენს სახელმწიფოზე;

- მნიშვნელოვანი ფაქტორია, ის თუ სახელმწიფო განვითარების რა ეტაპზე იმყოფება, რადგან გლობალიზაციის გავლენა, შესაბამისად აისახება სხვადასხვა განვითარების ეტაპზე მყოფი სახელმწიფოების მიმართ;
- გლობალიზაციის ეპოქაში ყველა საკითხი დამოკიდებულია კონკრეტულ სახელმწიფოზე თუ როგორ მართავს ის ამ პროცესში მონაწილეობის სისტემას;
- გლობალიზაციის პროცესი არ არის ერთი მიმართულებით განსაზღვრული პროცესი, მას მრავალი განშტოება აქვს, რომელიც სხვადასხვა სახის ურთიერთობებისგან შედგება;
- გლობალიზაცია არ გულისხმობს სახელმწიფოსა და თვითმყოფადობის მოშლას. იგი გულისხმობს გახსნილობას, სადაც სახელმწიფოს ეროზია არ ხდება. სახელმწიფო რჩება შეკრულ ერთეულად საერთაშორისო ურთიერთობებში. შიდა პოლიტიკაშიც კი ის იწყებს მოქმედებას საერთაშორისოდ მიღებული ნორმებითა და გაზიარებული წესებით.
- გლობალიზაციის პირობებში, სახელმწიფო, რაც მეტად არის ჩართული საერთაშორისო ასპარეზზე, შესაძლოა სუვერენიტეტის გარკვეული დათმობა მოუწიოს, სადაც დათმობა იგულისხმება იმ მხრივ, რომ იგი აქტიურად თანამშრომლობს და გაწევრიანებულია საერთაშორისო ორგანიზაციებში, ხელი აქვს მოწერილი კონვენციებზე, ე.ი. საერთაშორისო წესებსა და წესრიგს ემორჩილება, მაგრამ მეორე მხრივ იგი უფრო სტაბილურია, რაც მშვიდობის მეტ გარანტიას იძლევა.
- მნიშვნელოვანია გვახსოვდეს განვითარების რომელ სტადიაზე იმყოფება სახელმწიფო, რამდენად ძლიერი ან სუსტია იგი, რადგან თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს სწორედ ეს განსაზღვრავს;

საქართველო, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა, ევროპული ქვეყნებისგან

განსხვავებით, გლობალიზაციის პროცესს შეხვდა ეკონომიკურად სუსტად, დასახვეწი მართვის მექანიზმებითა და სტრატეგიით. დღესდღეობით, საქართველო უნიკალური ისტორიით, კულტურით, მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსით, საკმაოდ დიდ და კარგ პოტენციალს ფლობს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოც გახდა სუვერენული სახელმწიფო, რაც იმას ნიშნავს, რომ მას აქვს ძალაუფლება და უფლებამოსილება თავის ტერიტორიაზე. იგი უზენაესია მის საშინაო საქმეებში და დამოუკიდებელია საგარეო და საერთაშორისო ურთიერთობებში. სწორედ მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოზეა დამოკიდებული, სწორი გათვლებითა და სტატეგიულად მნიშვნელოვანი ნაბიჯებით, შეძლოს გახდეს გლობალიზაციის პროცესის მონაწილე, ისე რომ არ დაკარგოს თვითმყოფადობა და ამასთანავე გახდეს ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიის წინაშე დაცულია სამი კოლოქვიუმი და ერთი თემატური სემინარი.

სამი კოლოქვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

1. კოლოქვიუმი N1 – გლობალიზაციის ისტორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

2. კოლოქვიუმი N2 - სახელმწიფოს როლი ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში

3. კოლოქვიუმი N3 - რეგიონიზაციის ცნება, როგორც გლობალიზაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელი

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. „გლობალიზაციის ძირითადი აქტორების გავლენა განვითარებად და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქართველოს მაგალითზე“ - "ახალი ეკონომისტი",The New Economist N2, Vol 16, Issue, p.66, 2021
2. “The Role of International Organizations in the Security Sector and the Era of Globalization” - GALDAVA, M. The Role of International Organizations in the Security Sector and the Era of Globalization. Journal in Humanities, 10(1), 32-39, 2021
3. „თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ფორმირება გლობალიზაციის პირობებში“ - Polito/Logos,Vol2, ISSN:2667-9167, 2020
4. "გლობალიზაციის სათავეებთან - ბიპოლარული სისტემის რღვევა და სახელმწიფოს როლი ცივი ომის ეპოქაში" – Polito/Logos,Vol5, ISSN:2667-9167, 2022

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

“ისლამური ფუნდამენტალიზმი და მისი როლი ტერორიზმში“ - საქართველო-ირანის პოლიტიკური,ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბილისი, 2021

Caucasus International University

Faculty of Social Sciences

Doctoral Educational Program in Political Sciences

Right of Authorship

Mariam Galdava

The Role of the State in the Era of Globalization

Research Supervisor: Doctor of Political Science, Associate Professor of the Caucasus International University - Maia Kapanadze

The synopsis of the dissertation is submitted for the Doctor of Political Science degree

Tbilisi, 0141, Georgia

2023

Research Supervisor:

Maia Kapanadze - Doctor of Political Science, Associate Professor of the Caucasus International University.

Official reviewers:

1. **Vaja Gurgenidze** - Doctor of Political Science, Professor of the Georgian Technical University.

2. **Ketevan Shoshiashvili** - Doctor of History, Associate Professor of the Caucasus International University.

The thesis is defended on July 24, 2023, at 15:00, with the Dissertation Board of the Caucasus International University Faculty of Social Sciences.

Address: 0141, Chargali Str., CIU, Building 1, Room 305.

The full version of the dissertation is available at the library of the Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board

Petre Mamradze - Associate Professor of the Caucasus International University

Annotation

In the 21st century "Globalization" is the most widespread term, which we encounter in politics, economics, culture, technology or etc. So, globalization is a complex phenomenon, which will be less effective to talk about directly. Even a short but essential discussion of each of them will help to present the globalization process to society in the right way.

Therefore, in our work globalization is described in detail as an event, that has lost the sense of space or time and has taken on a large-scale appearance.

We discussed what is and what caused the process of globalization, we have analyzed its advantages and disadvantages, how do they influence the current processes in the world, how they affect to strong and weak states and such a small, developing countries as Georgia is.

The work analyzes the progress of globalization, which started especially at the end of the 20th century, when USSR fall down and Georgia regained its self-government.

Therefore, the degree of integration of Georgia into the world space is important. According to the globalization KOF index, the place of Georgia is defined.